სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/28

ქ. თბილისი

26 თებერვალი 2021 წ.

სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „ეკოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიის“ შექმნისა და მისი დებულების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილის, პროფესორ ზურაბ გასიტაშვილისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 26 თებერვლის №01-05-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი „ეკოლოგიური ექსპერტიზის ლაბორატორიის“ შექმნის თაობაზე წარმოდგენილი წინადადება და ლაბორატორიის დებულების პროექტი (დანართი);
2. საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი). საკითხს გაიტანს სამეცნიერო დარგში რექტორის მოადგილე, პროფესორი ზურაბ გასიტაშვილი;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, № 64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**